განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება და მიღება დაკავშირებულია ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოებში (საქართველოს პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში - საკრებულოებში) გენდერული თანასწორობის დაცვის ხელშეწყობასა და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის გაძლიერებასთან. როგორც საქართველოში უკანასკნელ წლებში ჩატარებული არჩევენების შედეგები მოწმობს, წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა რაოდენობა მინიმალურია და ვერ ასახავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით არსებულ მოთხოვნებს.

გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არსებული მსგავსი დისბალანსი საფუძველს ქმნის, რომ საკანონმდებლო დონეზე მიღებული იქნეს ისეთი ნორმა, რომელიც წაახალისებს საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდასა და მსგავსი დისბალანსის დაძლევას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებით თავის მხრივ ხელი შეუწყოს საქართველოს პარლამენტში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არსებული დისბალანსის დაძლევას და შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტში გენდერული ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრას. კერძოდ, კანონპროექტის შესაბამისად, ფინანსურად წახალისდება ის პარტია/საარჩევნო ბლოკი რომელსაც თავის პარტიულ სიებში ეყოლება ყოველი მეორე კანდიდატი ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესის და მიიღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიწვიოს აუცილებელი ხარჯები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდა.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებულიკონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა: გენდერული თანასწორობის ქსელი; გენდერული სამართლიანობა; ქალთა საინფორმაციო ცენტრი; ქალთა განათლებისა და ინფორმაციის ცენტრი; ქალთა კავშირი; ადამიანის ჰარმონიული განვითარების საზოგადოება.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორი: თამაზ კრავეიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამეტის წევრი ნანა ყეინიშვილი